ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №-19-038451/1
ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების (CPV: 66514110) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 14 იანვარი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის , (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ სს არდი დაზღვევა წარმოდგენილი მომსახურებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მაია ქამუშაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის ბ)ქვეფუნქტის საფუძველზე (გადაუდებელი აუცილებლობა), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამზღვევმა 2019 წლის საკუთარი ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს კუთვნილი ავტოტრანსპორტის, დაზღვევის მომსახურება (CPV 66514110).

1.2.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (დანართი №1) სადაზღვევო მომსახურება დანართი №2-ით (ავტომანქანების დაზღვევის პირობები) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (შემდგომში – მომსახურება), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.3. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, დანართი №2-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სამი სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), რის თაობაზეც დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მომსახურების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (სადაზღვევო პრემია) შეადგენს 112 ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწნებულ გადასახადებს.

3.3. ანგარისწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.4. შემსყიდველ (დამზღვევი) უფლებამოსილია დაზღვევის მოქმედების პერიოდში მოითხოვოს დანართი №1-ში მითითებული ავტომობილის სადაზღვევო მომსახურების შეწყვეტა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს (დამზღვევი) თუ შესაბამის ავტომობილზე არ არის გაცემული სადაზღვევო ანაზრაურება, დაუბრუნდება გადახდილი თანხის გამოუმუშავებელი ნაწილი, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის პროპორციულად. თუ შესაბამის ავტომობილზე გადახდილია სადაზღვევო ანაზღაურება, დაზრვევის ნებისმიერი მიზეზით გაუქმებისას, გამოუმუშავებული პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
4.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%.
6.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2%, მაშინ მხარეების უფლება აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.
6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია გამოყოფს კოორდინატორს, რომლის ფუნქციები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ტრანსპორტის მენეჯერი ვახტანგ ჭინჭარაული (პირადი №31001006208);
8.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული ხარისხის მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გამოსაწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ღირებულება. მომსახურების უხარისხობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს (პირის) დასკვნით.

9. მომსახურების მიღება-ჩაბარება

9.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, რომელსაც ადასტურებს ხელშეკრულების ორივე მხარე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა თუ არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით, უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის იანრიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

14. გადასახადები და ბაჟები

14.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების დანართები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს შემდეგი დანართები:

ა) დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სია (დანართი №1);

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობები (დანართი №2);

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად, რომლის ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს;

16.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს	**ს/ს არდი დაზღვევა**
სსიპ-საქართველოს საერთაშორისო	იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.3
ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო	ბანკი: ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №4	ბანკის კოდი: UGEBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 427 753	ა/ა: GE66VT 6600 0008 0803 3608
	ს/კ: 404 858 631
	ტელ: 2 10 10 10. 2 51 85 14
	E-mail: office@aedi.ge
დირექტორი	**საოპერაციო ადმინისტრირების**
ნიკოლოზ მემანიშვილი	**დეპარტამენტის უფროსი**
	მაია ქამუშაძე
_____	_____

LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia

Digitally signed by LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia
DN: cn=LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia, 2.5.4.97=NTRGE-204427753, o=LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia, c=GE
Date: 2019.01.31 16:31:27 +04'00'

2019 წლის იანვრს გაფორმებული ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების (CPV: 66514110) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № ხელშეკრულების დანართი №1
დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სია

№	ა/მ	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ლარი)	CASKO სადაზღვევო პრემია 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ლარი)		TPL თანხა 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ლარი)	MP 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ლარი)	სულ სადაზღვევო პრემია (ლარი)	დაზღვევის მოქმედების ვადა
					%	თანხა (ლარი)				
1	ოპელ ინსიგნია	VQ-410-QV	2009	5830,74						2019 წლის 1იანვრიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით

“შემსყიდველი“
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
სსიპ-საქართველოს საერთაშორისო
ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №4
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 427 753

ს/ს არდი დაზღვევა
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.3
ბანკი: ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა: GE66VT 6600 0008 0803 3608
ს/კ: 404 858 631
ტელ: 2 10 10 10. 2 51 85 14
E-mail: office@aedi.ge

დირექტორი
ნიკოლოზ მემანიშვილი

საოპერაციო ადმინისტრირების
დეპარტამენტის უფროსი
მაია ქამუშაძე.

LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia

Digitally signed by LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia
DN: cn=LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia, 2.5.4.97=NTRGE-204427753, o=LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia, c=GE
Date: 2019.01.31 16:30:45 +04'00'